

**ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ ტერიტორიაზე  
თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესი**

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და არეგულირებს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. თამბაქოს მოწევა აკრძალულია ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ შენობა-ნაგებობაში, ასევე კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე.
3. კოლეჯში დასაქმებული პერსონალი, სტუდენტები, ასევე ნებისმიერი პირი, ვალდებული არიან დაემორჩილონ კოლეჯში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.
4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს თამბაქოს მოწევის აკრძალვა/შეზღუდვა კოლეჯის შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა;
5. კოლეჯი ვალდებულია არ დაუშვას თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე ჩილიმის განთავსება კოლეჯის შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა;
6. კოლეჯი ვალდებულია არ დაუშვას თამბაქოს მოწევა, ხოლო თამბაქოს მოწევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა.
7. კოლეჯის შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის ეწევა საქმიანობას, ასევე აკრძალულია:
  - ა) თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარების ან/და თამბაქოს მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაცია ან/და განთავსება (ასევე კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში);
  - ბ) თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება;
  - გ) თამბაქოს მოწევის დემონსტრირება ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით;
8. კოლეჯის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;
9. კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაემორჩილოს კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას წინამდებარე წესის დაცვასთან დაკავშირებით;

10. წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან:

ა) აცნობონ მწეველს, რომ იმყოფებიან მოწვევისათვის აკრძალულ ადგილას და ჩადიან სამართალდარღვევას;

ბ) თავაზიანად მიუთითონ მწეველს შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა და შესთავაზონ მისი ჩაქრობის უსაფრთხო მეთოდი;

გ) განუმარტონ მწეველს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს და შესაძლოა, შესაბამისი ზომები გატარდეს დაწესებულების მიმართ, რაც გულისხმობს კანონდამრღვევი დაწესებულების დაჯარიმებას.

11. იმ შემთხვევაში თუკი ფიზიკური პირი კვლავ გააგრძელებს თამბაქოს მოწევას, უარი უნდა ეთქვას მომსახურებაზე და მოეთხოვოს შენობის ან მისი ტერიტორიის დატოვება.

12. თუ ფიზიკური პირი განაცხადებს უარს დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, მის მიმართ უნდა გატარდეს კანონით დაწესებული პროცედურები.

13. ყველა მსგავსი ინციდენტი და გატარებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე: **2 37 39 81**.

14. მწეველი პირის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და ძალადობის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - (112).